

მუხლი 9. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

შეფასების კრიტერიუმები და ქვეკრიტერიუმები	ქულები						კომენტარი
	0 ცუდი	1 სუსტი	2 საშუალო	3 კარგი	4 ძალიან კარგი	5 საუკეთესო	ქულების ჯამი
	1. სამეცნიერო ღირებულება						მინიმუმ 0, მაქსიმუმ 20 ქულა
1.1. კონცეფცია - კონფერენციის სტატუსი, მიზანი და ამოცანები, სამიზნე ჯგუფები							
1.2. ფორმატი - სექციები, თემები, პლენარული მომხსენებლები							
1.3. სტრატეგია - კონფერენციის ცნობადობისა და მაღალი რანგის მეცნიერების ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები							
1.4. ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან							
	2. მნიშვნელობა						მინიმუმ 0, მაქსიმუმ 15 ქულა
2.1. მოსალოდნელი შედეგები სამეცნიერო საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის, და ფართო საზოგადოებისათვის							
2.2. საკონფერენციო მასალების ხელმისაწვდომობისა და გავრცელების მექანიზმები							
2.3. ინტერ და ინტრაინსტიტუციონალური თანამშრომლობის ხარისხი							
	3. მართვა და განხორციელებადობა						მინიმუმ 0, მაქსიმუმ 15 ქულა



3.1. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან							
3.2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან და ბიუჯეტის დასაბუთება							
3.3. თანადაფინანსების თანაფარდობა ფონდიდან მოთხოვნილ თანხასთან	0-დან-7-მდე%	7-დან-20-მდე%	20-დან-40-მდე%	40-დან-60-მდე%	60-დან-80-მდე%	80% მეტი	
	ქულების ჯამი:						50
	პროექტის შეფასება:						

2. თითოეული ქვეკრიტერიუმის შეფასება ხდება 5 ქულიანი სისტემით, შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება	განმარტება
5	საუკეთესო	ყოვლად გამორჩეული, უმაღლესი სამეცნიერო ღირებულების, უაღრესად მნიშვნელოვანი და კარგად მართული პროექტი.
4	ძალიან კარგი	ორიგინალური, მრავალი უპირატესობის მქონე, მნიშვნელოვანი და მართული პროექტი, რომელიც ზუსტად პასუხობს კრიტერიუმის მოთხოვნებს. ვლინდება აქვს მცირეოდენი სისუსტეები.
3	კარგი	მისაღები პროექტი, ორიგინალური ან მნიშვნელოვანი ელემენტებით, რომელიც პასუხობს კრიტერიუმების მოთხოვნებს. ვლინდება გარკვეული სისუსტეები
2	საშუალო	არადამაკმაყოფილებელი ხარისხის, სუსტად დასაბუთებული, მაგრამ ორიგინალური პროექტი, რომელიც ფასდება კრიტერიუმებით.
1	სუსტი	გაუგებარი ღირებულების, დაუსაბუთებელი, უპერსპექტივო პროექტი, რომელიც ვერ ფასდება კრიტერიუმებით.
0	ცუდი	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.

3. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 50 ქულა.

4. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 36 ქულა.

5. ერთნაირი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც უკეთეს ქულებს დააგროვებს პირველ კრიტერიუმში - სამეცნიერო ღირებულებაში, შემდეგ კი თანმიმდევრულად მეორე და მესამე კრიტერიუმებში. სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პროექტს, რომლის ფარგლებში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა უფრო ნაკლებია.

